

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა

ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
მშენებლობა/Construction
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი /Bachelor of Construction Engineering
პროგრამის ხელმძღვანელი
<p>პროგრამის ხელმძღვანელი - ოთარ ჩაკვეტაძე პროგრამის კოორდინატორი - ქეთევან დავითაძე</p> <p>დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის და კოორდინატორის კვალიფიკაციას, მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.</p>
პროგრამის მოცულობა
<p>მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად.</p> <p>მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, დაეგმოს საკუთარი პროფილი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან.</p> <p>არჩევით კომპონენტში შედის როგორც სასწავლო კურსები, ისე პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტსაც.</p> <p>მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.</p>

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 228 კრედიტს.

მათ შორის:

კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი)- 18 კრედიტი;

პრაქტიკულ კომპონენტს -9 კრედიტი;

და თავისუფალ (არჩევით) კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 12 კრედიტს.

თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტის დაგროვებას სტუდენტს შეუძლია ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლაში (პროგრამით შეთავაზებული თავისუფალი არჩევითი საგნებით) ან შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

სწავლების ენა

ქართული ენა

პროგრამის მიზანი

საქართველოს თანამედროვე განვითარების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამშენებლო დარგს, რომლის აღმავლობისათვის საჭიროა ისეთი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო, სამრეწველო, განსაკუთრებული დანიშნულების შენობა-ნაგებობათა დაპროექტება - აგებაში, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სამუშაოების ჩატარებაში.

აქედან გამომდინარე, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს სამშენებლო-საპროექტო საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტაციას და საერთაშორისო ბაზარზე ანალოგიური პროფილის უცხოელ სპეციალისტებთან კონკურენციის გაწევას.
2. მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მორალური პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი ღირსეული კარიერისათვის, რომელიც მოტივირებული იქნება მიაღწიოს მეტს პროფესიული თვალსაზრისით.
3. შეასწავლოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით სამშენებლო-საპროექტო საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესრულების პრინციპები, მეთოდები და მექანიზმები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

4. შეასწავლოს სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და მანქანა-მექანიზმების მშენებლობაში მიზანმიმართულად, უსაფრთხოდ გამოყენების წესები და მეთოდები.
5. შეასწავლოს მშენებლობის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვის წესები, დარგთან დაკავშირებული პრობლემების დასაბუთებულად და საიმედოდ გადაჭრის გზები და პირობები მშენებლობაში წარმოქმნილი რისკ-ფაქტორების გააზრების საფუძველზე.
6. განუვითაროს არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებასა და კონსტრუქციული აზროვნებას შორის კავშირის დამყარების, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის მიღებული შედეგების წარდგინების უნარი.
7. შეასწავლოს ევრონორმებისა და საქართველოში მოქმედი ნორმების დაცვით სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების ოპტიმალური კონსტრუქციული სქემების შერჩევისა და გამოხაზვის მეთოდები, ასევე პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულება თანამედროვე გამოთვლითი პროგრამების გამოყენებით.
8. შეასწავლოს შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვისა და ენერგოეფექტურობის თანამედროვე მეთოდები.
9. ჩამოყალიბოს ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პროფესიული ეთიკისა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

ბაკალავრს შეუძლია წარმატებით დასაქმდეს ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მშენებლობასთან, კერძოდ: საპროექტო ფირმებში; სამშენებლო ფირმებში; საშენი მასალების და ნაკეთობების მწარმოებელ ფირმებში; შენობა-ნაგებობათა აღდგენა-სარესტავრაციო ფირმებში; სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში; სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც კურირებენ ქალაქგეგმარებას, მშენებლობას, მშენებლობის ზედამხედველობას, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებას, მშენებლობის ხარისხის კონტროლს, შენობა-ნაგებობათა მონიტორინგს და სხვ.

სწავლის შედეგები

1. აღწერს მშენებლობის თანამედროვე მეთოდების ძირითად თავისებურებებსა და პრინციპებს, შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესების

წარმოების ზოგიერთ უახლეს მეთოდს, შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვისა და ენერგოეფექტურობის თანამედროვე მეთოდებს.

2. აღწერს სფეროს კომპლექსურ (დაპროექტების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოების, მშენებლობის წარმოების ორგანიზაციისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების) საკითხებს.
3. განმარტავს საშენი მასალებისა და ნაკეთობების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მნიშვნელობას; შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებს; მშენებლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროექტირების საკითხების გამოყენების წესებს; საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებსა და წესებს; ევრონორმების გამოყენების პრინციპებს; ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითად საკითხებს.
4. განმარტავს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოების მნიშვნელობასა და დარგის სპეციალისტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს.
5. ახდენს სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და პრევენციული ზომების შემუშავებას მშენებლობის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვისათვის.
6. ქმნის კვლევით (საბაკალავრო) ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
7. ასრულებს კონსტრუქციული სქემების გადაწყვეტებზე დაყრდნობით პრაქტიკული ხასიათის პროექტს.
8. მოიძიებს ინფორმაციას მშობლიურ და უცხოურ ენაზე სამშენებლო დარგში არსებულ თანამედროვე მასალების, ტექნოლოგიების, მანქანა-მექანიზმების შესახებ და აყალიბებს დასკვნებს მშენებლის პროფესიისთვის დამახასიათებელი ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით.
9. სპეციალისტების და არასპეციალისტების ინტერესის გათვალისწინებით, წარმოადგენს ინფორმაციას, საკუთარ არგუმენტებს სამშენებლო ტერმინოლოგიის გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
10. ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას სამშენებლო დარგში შრომის უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმების საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.
11. აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.
12. ცნობს მშენებლის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, ითავისებს სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას, მიიღებს და განახორციელებს ინიციატივას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- სემინარი
- პრაქტიკული მუშაობა
- საბაკალავრო ნაშრომი
- სასწავლო პრაქტიკა
- საშინაო დავალება/რეფერატი
- ესე

- ელექტრონული რესურსით სწავლება
 სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება

(A) ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიანკარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

- (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება

(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) -ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- შრომის უსაფრთხოებისა და საშენი მასალების ლაბორატორია.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. აღწერს მშენებლობის თანამედროვე მეთოდების ძირითად თავისებურებებსა და პრინციპებს, შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესების წარმოების ზოგიერთ უახლეს მეთოდს, შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვისა და ენერგოეფექტურობის თანამედროვე მეთოდებს.
2. აღწერს სფეროს კომპლექსურ (დაპროექტების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოების, მშენებლობის წარმოების ორგანიზაციისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების) საკითხებს.
3. განმარტავს საშენი მასალებისა და ნაკეთობების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მნიშვნელობას; შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებს; მშენებლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროექტირების საკითხების გამოყენების წესებს; საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებსა და წესებს; ევრონორმების გამოყენების პრინციპებს; ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითად საკითხებს.
4. განმარტავს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოების მნიშვნელობასა და დარგის სპეციალისტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს;

სამიზნე ნიშნული

1, 2, 3, და 4 სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ნაგებობათა პროექტირების საფუძვლები;
- შესავალის პეციალობაში: სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობები;
- საინჟინრო ტექნიკის საფუძვლები -შენობათა ნაწილები;
- ნაგებობათა პროექტირების საფუძვლები;
- სამშენებლო კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელირება;
- მასალათმცოდნეობა: თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები;
- მშენებლობის ეკონომიკა;
- გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლები;
- სამშენებლო მანქანები და მექანიზმები;
- სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა;
- ქართული სამშენებლო ნორმები და წესები;
- სამშენებლო ევრონორმები;
- მშენებლობის მენეჯმენტი;
- მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია;
- თანამედროვე სივრცითი კონსტრუქციები;
- რკინაბეტონის კონსტრუქციები;
- რკინაბეტონისა და ქვის კონსტრუქციები;
- ფოლადის კონსტრუქციები;
- ხის და პლასტმასის კონსტრუქციები;
- ფოლადის, ალუმინისა და მსუბუქი შენადნობების კონსტრუქციები;
- შრომის დაცვა.

რადგან ამ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით გაიზომება მათი თეორიული საბაზისო ცოდნაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც.

5. ახდენს სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და პრევენციული ზომების შემუშავებას მშენებლობის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვისათვის.

მე-5 სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამიზნე ნიშნული:

5.1 საქართველოში მოქმედი კანონების და ტექნიკური რეგლამენტების მოძიება წინასწარ მოცემული მითითებების მიხედვით;

5.2. კონკრეტულ სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირება;

5.3. საფრთხეების იდენტიფიცირების საფუძველზე რისკების განსაზღვრა

5.4. პრევენციული ზომების შემუშავება.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, კაზუსები და სხვ.

6. ქმნის კვლევით (საბაკალავრო) ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

მე-6 სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამიზნე ნიშნული:

6.1. ნაშრომის სტრუქტურა დაცულია;

6.2. საკითხები ნათელი და საკმარისად დაკონკრეტებულია;

6.3. განმარტებითი ბარათი შედგენილია;

6.4. გრაფიკული ნაწილი (სქემატური ნახაზები, ცხრილები) დამუშავებულია;

6.5. მოცულობები და სხვა მახასიათებლები გაანგარიშებულია;

6.6. სამუშაოთა პროცესის ანალიზი ჩატარებულია, დამუშავებულია.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, საშინაო დავალება, საკვალიფიკაციო ნაშრომი.

7. ასრულებს კონსტრუქციული სქემების გადაწყვეტებზე დაყრდნობით პრაქტიკული ხასიათის პროექტს.

მე-7 სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამიზნე ნიშნული

7.1. ახდენს ინდივიდუალური დავალების ანალიზს;

7.2. ასრულებს პრაქტიკული ხასიათის პროექტის დამუშავებას წინასწარ მოცემული ინფორმაციისა და მახასიათებლების მიხედვით;

7.3. მოიძიებს და იყენებს შესაბამის სამშენებლო ნორმებს, მასალასა და ლიტერატურას;

7.4. ასრულებს პროექტის გრაფიკულ ნაწილს;

7.5. ასრულებს პროექტის ტესტურ ნაწილს - განმარტებით ბარათს.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ინდივიდუალური ნაშრომის (საკურსო სამუშაოს) შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. განმარტებითი ბარათის შედგენა
2. გრაფიკული ნაწილის (სქემატური ნახაზები, ცხრილები) დამუშავება
3. მოცულობებისა და სხვა მახასიათებლების გაანგარიშება
4. სამუშაოთა პროცესის ანალიზი, დამუშავება და დასკვნების ჩამოყალიბება
5. პროექტის ესთეტიური გაფორმება

8. მოიძიებს ინფორმაციას მშობლიურ და უცხოურენაზე სამშენებლო დარგში არსებულ თანამედროვე მასალების, ტექნოლოგიების, მანქანა-მექანიზმებისა და სხვა პირობების შესახებ. აყალიბებს დასკვნებს მშენებლის პროფესიისთვის დამახასიათებელი ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით.

სამიზნე ნიშნული:

- 8.1. დავალების შესასრულებლად შესაბამისი ინფორმაციის მოძიება მშობლიურ ენაზე;
- 8.2. დავალების შესასრულებლად შესაბამისი ინფორმაციის მოძიება უცხოურ ენაზე;
- 8.3. ინფორმაციის ანალიზი;
- 8.4. შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება;
- 8.5. ეთიკური პასუხისმგებლობის დაცვა.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, საშინაო დავალება, ინდივიდუალური ნაშრომი (საკურსო სამუშაო), სასწავლო გაცნობითი პრაქტიკა, წინასააღიპლომო პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი.

9. სპეციალისტების და არასპეციალისტების ინტერესის გათვალისწინებით წარმოადგენს ინფორმაციას, საკუთარ არგუმენტებს სამშენებლო ტერმინოლოგიების გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; აქვს სწრაფი და ადეკვატური რეაგირების უნარი, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემის გათვალისწინებით; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სამიზნე ნიშნული

- 9.1. ინფორმაციის წარმოდგენა მსმენელის ინტერესის გათვალისწინებით;
- 9.2. არსებული ინფორმაციის და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა წერილობითი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- 9.3. არსებული ინფორმაციის და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- 9.4. ინფორმაციის წარმოდგენისას სამშენებლო ტერმინოლოგიით სარგებლობა;
- 9.5. განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა;
- 9.6. ინფორმაციის წარმოდგენისას საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, საშინაო დავალება, სასწავლო გაცნობითი პრაქტიკა, წინასააღიპლომო პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი.

10. ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას სამშენებლო დარგში შრომის უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმების საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

სამიზნე ნიშნული:

- 10.1. ითვისებს ცოდნის საკანონმდებლო ცვლილებებს;
- 10.2. შეუძლია საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოძიება;
- 10.3. შეუძლია ცოდნის განახლება.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, საშინაო დავალება, სასწავლო გაცნობითი პრაქტიკა, წინასააღიპლომო პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი.

11. აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.

სამიზნე ნიშნული:

11.1. აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს;

11.2. აფასებს სხვების შესაძლებლობებს;

11.3. აქვს გუნდში მუშაობის უნარი;

11.4. შეუძლია დაგეგმოს უწყვეტი პროფესიული განვითარება;

11.5. შესაბამისად მართავს დროს;

11.6. შესაბამისად მართავს მის ხელთ არსებულ რესურსებს.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, საშინაო დავალება, სასწავლო გაცნობითი პრაქტიკა, წინასააღიპლომო პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი.

12. ცნობს მშენებლის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, ითავისებს სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას, მიიღებს და განახორციელებს ინიციატივას.

სამიზნე ნიშნული:

12.1. იცნობს მშენებლის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს;

12.2. პატივს სცემს სხვის მოსაზრებებს;

12.2. მოწოდებულია ხელი შეუწყოს დამსაქმებლისა და დასაქმებულების ვალდებულებების დაცვას;

12.3. მოქმედებს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: სასწავლო გაცნობითი პრაქტიკა, წინასააღიპლომო პრაქტიკა.

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

სამიზნე ნიშნული						
	A	B	C	D	E	F
კრიტერიუმები	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა.

დანართი 2: CV - ოთარ ჩაკვეტაძე